№ 5
იანვრის 8, ოთხშაბათი 1903 წ.

1877

ივერია

№ 5
იანვრის 8, ოთხშაბათი 1903 წ.

1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ანნა ანდრიას ასული **ჯაფუსაძისა**, პეტლგია ანდრიას ასული **ოსიპოვისა**, მარიამ ანდრიას ასული **ვეფუსაძისა**, დავით და გიორგი ანდრიას ძენი **ლაშარაშვილები** გულითადად მზუარენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, გარდაცვალებას ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, საკვირელის დიდშვილისას

იოსებ სიმონის ძის ჟურდოვანიძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ დასაფლავებაზედ 9 ამა იანვარს, დილის 10 საათზედ, ოქრომჭედლების ქუჩაზედ (1 ტუბიკი), სახლი სულთანოვისა. მიცვალებულს მიასვენებენ კალოუბნის ეკლესიაში, სადაც გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზედ. პანაშვიდები ყოველ დღე ნაშუადღევის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. (2—7—1)

მაგდალენა პეტრეს ასული **მეფიანაშვილისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის მეუღლის

მიხეილ პავლეს ძის მეფისაშვილისა

გარდახდილ იქნება შაბათს, ამა იანვრის 11-ს, დილის 10 საათზედ, ახალციხის ახალ ნაწილის კათოლიკეთა ლოთის მშობლის მიძინების ეკკლესიაში.

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სიფრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ოცნა თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარავსლია №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წერნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარავსლა).
ყუთაისში:—ბეკნაენშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ოგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საგაზეტოში, და ბელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილოსთან.
აქმოლაში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოოზის ქ., ქალაქთარის ქარავსლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საბუნარეში. პეტრე მაკვალარიანთან.
ზოგ.ასანში:—პარუნენ ნასიძესთან.
ბანჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
ბორჯომში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

ს.-პეტერგბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

პირითადი თანხა	1.650.000 **მან.**
ხელთადარჩენი თანხა	2.664,808 **მან.**

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიდან რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილს, კავკასიაში, შუა სპაჰანში, სპ-ანში და შორეულ აღმოსავლეთად, ოგრეთვე წარმომადგენელნი ჰყვნს უმთავრესს ქალაქებში ბუხარა-ტაშკენტ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზღვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობში და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გაგზავნთა მიერ ადგილზედ პირობით (ფას-დადებით გაგზავნის ხარჯზედ, ყველს გაგზავნა დაეგზავნა საქონლის ეკიზავნისთვის იქ, ს

დგენსო. ამიტომ გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, ეს ჩემი სიჩივარი თქვენს გაზეთში დაბეჭდოთ საცნობელად ჩვენს საზოგადოებისა, რომელიც, იმედია, ჯერეოვანს მსჯავრს დასდებს „ივერიის“ რედაქციის საქციელს და თან ამით ვთავაზებ ყოველს ანგარიშს გაზ. „ივერიის“ მწერლობასთანაო,—დასძენს ბოლოს ა. ღულაძე.

ჯერ ესთხოვთ მკითხველს, მიაქციოს ყურადღება, რა უკადრისის სიტყვებით იწყებს ა. ღულაძე თავისს სჩივარს. მაგრამ ეს მივუტევთო, ვითარცა აღელვებულს.

ეს დოკუმენტი რომ ისეთის რედაქციისათვის წარედგინა, რომელსაც თვალი მოვალეობა ჯეროვანად ეყოფება, დარწმუნებული ვართ, მოჩივარს ზედ თავზედ გადაადგურწეოდა და მის მომტანს ა. ღულაძეს იქავე გასტუმრებდა, საი დგანაც 30 დეკემბერს მოეკლინნა.

მაგრამ გაზ. „Новое Обозр.“-ს რედაქტორმა შეიწყნარა კიდეც სჩივარი ა. ღულაძისა და თავისს გაზეთში დაბეჭდა კიდეც.

ჩვენ-კი, სწორედ მოგახსენოთ, დიდად მოხარულნი ვართ ამ წერილის გამომქადაგებისთვის, რადგანაც მისის წყალობით შემთხვევა გვეძლევა გამოვსთქვათ ერთხელ და სამუდამოდ ჩვენი აზრი იმის შესახებ, რომ ყოველი გაზეთი მოვალეა დაჰფაროს ავტორის ფსევდონიმი.

ვინც ა. ღულაძის წერილს წაიკითხავს, „ივერიის“ რედაქტორსა და რედაქციას მადლობის მეტს არას ეტყვის.

რათა? იმიტომ, რომ არც ერთმა და არც მეორემ არ გასცა სახელი არც ავტორისა, არც სარედაქციო კომისიის წევრთა. მადლობას ეტყვის იმიტომ, რომ არსად არ არის მიღებული გაცემა და გაწირვა ავტორისა.

ეს მარტივი ჭეშმარიტება შეიძლება არ ესმოდეს მხოლოდ ა. ღულაძეს.

თუ მართლა ა. ღულაძემ ვერ იპოვნა, ვითომ და თვისი შეურაცხმყოფელი, მაშინ ხომ სამართლისათვის უნდა მიემართნა და არა საზოგადოებისათვის, რომელსაც სულითა და გულით სძულს ყოველგვარი დაბეზღება.

მაგრამ ა. ღულაძის ოინების საფუძველი სულ სხვა გახლავთ.

მარ-ლა და რასა სჩივის ა. ღულაძე და რა ჰქონდა საძებნელი, როდესაც თავის სჩივარსა სწერდა?

ერთი ჰკითხეთ ა. ღულაძეს, როდის უმალავდა „გზა და გზის“ ავტორი თავის სახელს და, თუ უმალავდა, რად გაჰბაზავნა თვისი ამორჩეული კაცები პირადპირ „გზა და გზის“ ავტორის სახლში, თუმცა არც რედაქტორს, არც სარედაქციო კომისიას მისი ადრესი არ მიუცია.

გარდა ამისა, თუ მართლა ა. ღულაძემ არ იცოდა ვითომდა თავის შეურაცხმყოფელის სახელი, და მტკიცედ არ იყო დარწმუნებული, ვის ეძებდა, რად დასდევდა კეტით ტფილისის ვოგზალზე 24-ს დეკემბერს და მხოლოდ დამსწრე ხალხის შემწეობით ვერ მოიმქმედა ის ბოროტება, რომელიც გულში ედო?!

ნუ თუ ეს ორი გარემოება, და ბევრი კიდევ სხვა, რომლის აქ დასახელება სრულებით მეტი იქნებოდა, არ დაარწმუნებს ჩვენს საზოგადოებას, რომ ა. ღულაძისაგან „Нов. Об.“-ში გამოცხადებული სჩივარი ყოველად მიუტევებელი სიყალბეა!

განა გაგონილია ამისთანა სიცრუე? კაცი აცხადებს გაზეთში, ჩემის პიროვნების შეურაცხმყოფელნი მიიმალ-მიიმალნენო და ამ დროს თვითონვე-კი ჰმალავს, რომ თავის ვითომ შეურაცხმყოფელს 24 დეკემბერს, ესე იგი ერთის კვირის წინად, ვიღრე სჩივარს დასწერდა, კეტით დასდევდა.

რის ღირსია ის კაცი, რომელიც თავის სვედის გასაქრავებლად ამისთანა აშკარა სიცრუეს ჰკადრულობს?

დაე, სთქვას ამის პასუხი იმ საზოგადოებამ, რომელსაც ა. ღულაძემ თავის სჩივრით მიმართა.

ჩვენ-კი ვიტყვით, რომ ღვთის გაწყრომა სწორედ ასეთი უნდა, როგორიც ა. ღულაძეს დაემართა.

უნდოდა დაეოწმუნებინა ჩვენი საზოგადოება, რომ ჩვენი რედაქტორი და რედაქციის კომისია, მი-მით თუ სირცხვილით, ემალეზოდნენ ა. ღულაძეს, მაგრამ გაეწყალა ღმერთი: ავდა ხეზე და საკუთარის ხელით მოსკვა სწორედ ის ტოტი, ოთქელ ხეზეაც თვითონ იჯდა და გაამაცთალა ადამიანი: „რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას ბტერი ვერ უზამსო“.

რუსეთი 1902 წელს

(დასასრული *)

რაკი რუსეთის სახელმწიფოს უმთავრეს ღირძად რუსეთის გლეხობა იქმნა აღიარებული თვით სახელმწიფოს მიერ, ძალა უნებურად უნდა მიეკცია ყურადღება იმ გარემოებისთვის, თუ კანონისა და უფლების მხრივ როგორ შეკვეროვებულია რუსეთის გლეხობა. მისი ფეხის დაკარახუნება, მისი გაროზგვა, მისი პიროვნების ფეხ-ქვეშ გათელვა ისეთივე ადვილია დღესაც, როგორც იყო ბატონ-ყმობის დროს. თუ კი ვინმეს პიროვნება (და ვისი ოოა!) დღეს ჩვენში ილახება და ითელება, ყველაზე მეტად გლეხის პიროვნებაა ამ ძმრიე დაჩაგრული. გლეხს შინის ტრეხტელს ჭგვრის არა მარტო „ნაწილიკის“, ან „პრისტავის“ დანახვა, არამედ აკაბკახებს და ეშინიან თავის მიერ ამორჩეულის მამასახლისისა, ნაკვალის და ბეჩერისაც-კი. რათა, რისთვის? იმისთვის, რომ უფლებრივ დაბეჩავებულია. საკმარისია სულ უბრალოო რამ, თუნდ მამასახლისის ენინაობა, რომ გლეხს განუკითხავდ ციხეში „ᲝᲢᲐᲣᲨᲘᲜᲒ“ თავი, ან „გაროზგნგ“ კიდეც. „როზგი“—ეს ისტორიის საარკეზენო შენაძენი—ჯერაც ძალაშია რუსეთში. „როზგავენ“ იმას, ვინც დანაშაულია, და იმასაც, ვინც არ არის დამნაშეგი. რუსეთის სასამართლოს საქმეები ავსებულია იმ გვარ შემთხვევით, როცა გლეხი ჯერ „გაუთოზგია“ და შემდეგ-კი უკვე „ბაროზგვილი“ უფანაბაულოთ უკვნოთ. რაშია ხსნა? ხსნა-კი ჯერ შორსაა, ხოლო გლეხის უფლებრივის მდგომარეობის გაუმჯობესობა ახლაც შესაძლებელია.

ორმოციის წლის წინად გამოცემული საგლეხო კანონები ჯერ მაშინაც ვერ იყო უნაკლულო. ითთ უფრო ითქმის ამ კანონების სამდურავი ახლა, ორმოციის წლის შემდეგ, როცა თითონ გლეხის წოდებაში ძირითადი ცვლილებანი მოსმდა, როცა სოფლის ფიფურნენეიციამ ფეხი მოიკიდა და მოიმაგრა, როცა თითონ გლეხობიდან გამოიჩეკა ისეთი ბარტყები, რომლებმაც ლამის არის შთანთქნან თვით თავიანთი წარმომშობლები. ეს ახლად გამოჩეკილნი ბრძანდებიან რუსეთში ვაჭრებენ, სასესხოს მწოვრები და ფურბელები, ჩვენ-კი ჩარჩები.

დიდე, რუსეთის გლეხობა ის ადარაა, რაც ორმოციის წლის წინად იყო. გლეხთა შორის დიდი უმცირესობა გამდიდრდა, იიწია და ამაღლდა, დიდი უმრავლესობა-კი გადარიბდა, ჩამოქვეითდა და დაეცა. სოფლის მართვა-გამკეობა ამ უმცირესობამ იგდო ხელში. მამასახლისი, მწერალი, „სუდია“, „პრისტავი“, ყველა მის ბრძანებით ჰმოქმედობს. სოფლის სასამართლოში ყრილობაზე სულ ამ სისხლის მწოველების მიხედვით სწყდება ყოველგვარი საქმე. მამასახლისს, „სუდიას“ ირჩეს უმრავლესობა თავის სურვილის წინააღმდეგ, უმცირესობის სურვილისამებრ, რადგანაც პირველი ეკონომიურად დამოკიდებულია მეორეზედ. ამიტომ აშკარად, ხმა-მაღლა მის წინააღმდეგობას ვერ გაჰბედავს... ჩარჩ-ბიაკაცები-კი აშკარად ასახელებენ ისეთს კანდიდატებს, რომლებიც უსათუოდ მათ ინტერესებს დაიცავენ. სოფლის წურბელებისთვისაც საკითხია სოფლის მთავრობისაგან დაცვა-მფარველობა.

გლეხობის დიდს უმრავლესობის ამ ზომამდე უფლებრივად დაჩაგლურებამ მიიქცია რუსეთის უმაღლესის თავრობის ყურადღება. ის მიმხედა ორმოციის წლის წინად შემდგარ საგლეხო კანონების უვარგისობას და მათ მავნებლობას და ხელ-ახლა შეუდგა საგლეხო კანონების დადასინჯვას, გადათვალიერებას, მესწორებას, შეესებას და შემოკლებას. და თუ ღმერთმა მშვიდობიანად ჩაგვიტარებინა ეს კარზე მომდგარი ახალი წელი, ვეღირსებთო გლეხობის უფლებრივად ადდგენას, რომ მას არ ეშინოდეს „ნაბალნიკისა“ და არ კანკალებდეს მამასახლისის დანახვაზე, რომ საქმის გამოუთიბელად ციერვნენ ჭიდებდეს ხელს და ციხეში ჰგზავნიდეს, რომ დანაშაულობის სასამართლოს განხილვამდე, არავინ როზგავდეს და პოლიციის საშუალებით არავინ ასამარესებდეს.

სალტიკოვმა და ნეკრასოვმა სთქვეს: რუსეთის ხალხი ყოველად ღარიბია, მაგრამ ყველაზე მეტად მისი სიღარიბე იმაში გამოიხატება, რომ ვერ მიმხდარა, ვერ ჰგრძნობს, ვერ ამჩნევს ამ სიღარიბესო. ეს ითქვა 25—30 წლის წინად. დღეს-კი სავსებით არ ითქმის რუსეთის ხალხის შესახებ ეს სიტყვები; ისეა, თუ არ ისე, გლეხმა შეიგნო თავისი სიღარიბე, თავისი გაჭირვებული მდგომარეობა და ის მიზეზებიც, რომელთაც გამოიწვია მისი ასე დაცემა და განადგურება. ხალხი ფიფის ამბით უცდის და ელოდება, რას იტყვის და რას იზამს 1903 წელი მის სასარგებლოდ. ვნახოთ, მართლა, რუსეთის ქთავრობა როგორ „გადასინჯავს“, განხილავს საგლეხო კანონებს, რომ ამ რეფორმით შემსუბუქდეს და შედეგათ მიეცეს უფლებრივად რუსეთის გლეხობის მდგომარეობას. ცხოვრების შესაფერი კანონები გლეხს წელში გაამართავს, ფეხზედ ფამოაყენებს და ხელს შეეწყობს მისს ეკონომიურს წარმატებას.

—

11 აპრილს საღრო განათლების მინისტრი ანნოვსკი სამსახურიდგან გადადგა, ხოლო მისი ადგილი დაიჭირა ზენგერმა, რომელიც დიდს იმედებს იძლევა სასწავლებელთა რეფორმის შესახებ და რომელმაც საქვეყნოდ აღიარა 1884 წლის საუნივერსიტეტო წესდების უვარგისობა.

2 აპრილს შოკლულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრი სიპიაგინი, ხოლო მისი მკვლელი სტეფანე ბალმაშევი 3 მაისს ჩამოაღორჩეს.

*) იხ. „ივერია“ № 3.

ტყვის მზგავსად პირენი შესხერეგმოდა და დედ-მამის მოსვლას მოუთმენლად ელოდა. აგერ გაიღო კარები და ბავშვების ხრიალეს, მათ სიცილ-მხიარულებას, სათამაშოების გარჩევა-შექცევას სამზღვარი არა ჰქონდა.

— ეს შენ, ჩემო კარგო მთიკო,—ეუბნებოდა დედა ერთად-ერთს თავის ასულს.—მამამ დედოფალ-ა გიყიდა, აღზარდე, ასწავლე, შვილო, და გაათხოვე.

— ეს სურათებიანი წიგნი შენ, ჩემო ზალიკო! ისწავლე და დედ-მამა გაახარე.

ამ ნათიდან დაღამ ბავშვებს ყველნ თავთავისი საჩუქარი დაურიგა. გახარებული ბავშვები ერთმანეთს ასკვეზობდნენ, ხტუნავდნენ, მხიარულობდნენ. ივანნ-კი გულ-მკერდ ღია ბუხარს მისჯდომოდა და შვილების აღტაცებულ მხიარულებით შორიდგან ტკბებოდა, ივანე დიდხანს იჯდა ცეცხლი პირას და გაუტრეფელი ოცნების მორევში ჩასულიყო. ბუხარს-კი გაჭქონდა გუგული და თავის ცხოველის სითბოთი ეღვიძებდა ივანეს, დროთა ვითარებისა გამო მიუსუბუქა გრძნობებსა: ოცნებას ივანე შეესვა თავის ფრთებზედ და ცაზეწოლობის წარსულში ანაგონდებოდა. თბილა ბუხარს, ბასში მოგეგონე ჯრიკის ობოლმა ნაკვერცხლებმა ნათლად ფაღუბატეს ივანეს თვალწინ მამა მისის ოჯახი. ოჯახი ქველი, დაგანძეული, მორეულნე სასულიერო კაცისა, სადაც შობა-ახალ წლის დიდსასწაულებში მოხუცი მღვდელი დიღას, ეისკრის შემდეგ, ბუხარში გაჩაღებულ ცეცხლს ჯოხს ჩაჰკიადდა და თან დაადოყლეტდა: „ამდენი ვაღი, ამდენი საკმელი, ამდენი ფული და სხვანაო“,—უნაკერებდა ხოლმე ჯოხს. წარმოიიდგინა, რა მოწიწებით შეეხეირა ეს მთელი ოჯახი ამ დღესასწაულებს! რა ალტაცებული გრძნობით ეგებებოდნენ საალილოვდ ე მოსული ბოლეხებს. რამდენჯერ მისძინებია ივანეს კერის ძირში ბაღუხდეს ამ ფიქრით, რომ „ფეალილოიანი“ არ გამოჩჩანოროდნენ, მათთვის ღორის ფეადი ბაღუბანა და ბოძის დღესასწაულის შესახებ-დიდება მოეტმინა.

შუადამე იყო. მთელრის მოკაშკაშე სხივეზი ოქროს ფერად ბზინავდა ბაღინულ თოვლის ზედაპირზედ. ყველგან სიჩუმეს შთაგნთქა ბარ-მარე. მყუდროება გამეფებულიყო. აგერ, ბაღისა ბარედ, ბაღინულ თოვლზედ ფეხის ხმა ეორობა. ამას ეკაშკაშაა ბინა. ეკაშკაშა, ბმაურობამ ბატარა ეკეკ-ი-ც გამოიღვიძა. ეკეკინიმ თავის ფარხმალ მიჰმართა და შეჰკივლა: „მოვიდნენ, მოვიდნენ“,—ეუბნებოდა თვალები ბატარა ივანეს.

„ალილოოო!“—მოისმა გარეგან. ერთ წამს მთელი ოჯახი ფეხზედ დადგა. დედა ხატს სანთელს უნთებდა. მამა ხელ-აპყრობილი მხურვალედ ლოცულობდა. ბავშვები-კი ყველანი ფარ-ხმალი ივანეს და ღრმა რწმენით ეგებებოდნენ დიდებულს დღესასწაულს.

ასე ოცნებობდა ივანე თავისთვის და ეფერა ღრმად აკვარდებოდა ცხოვრებას. დიდე, ეს ყველაფერი წასულა, ყოფილა და ალარ იქნება. ნადა ადეს ბუბრები, ბუბრის ბეგენი, ჰაერის გამშეშენი ცეცხლის ალი, რომელიც არშიყობით ეგრაგნებოდა მეხის მსგავლ ჯარკსა! სადღა ამგვარი მიღოცვა, ნატერა, შეხვედრა? ვის უნატრი ახლა ბეგრს შეაღებს!? ვის ენატრება ღღეგანდელი მეალილოოე, რომელიც ხელში შემოგჩერებია, რა მოგბაროს ან რა დაგაკლოს.

კიდევ ბეგრი რამ მოაგონდა ივანეს, ბეგრი მწარე ფიქრი აეშალა და უნდოდა ყოველი ეს დარდი თავის ცოლ-შვილისათვის გაეზიარებინა, მაგრამ, აგერ, იღრიალა ბომბერალთა გუნდმა და მოისმა გაზეთები გადმოგვეცემენ, განუბრახავს ბადასახადთა მეოთხე ინსპექტორი დაჰნიშნოს ტფილისში.

◆ როგორც შევიტყეთ, ბათუმში, ქართველთა შორის ეწერა-კითხვის გამაგრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ საღამოზედ მიწვეულნი არიან ზოგიერთი არტისტი ქართულ დრამატიკულ საზოგადოებისა.

◆ 12 იანვარს, ტატიანის დღეს, ტფილისის კრუტოკში გამართული იქნება საღამო სალიტერატურო-სამესეკო ბანყოფილებისა. ამ საღამოსთვის საგანგებოდ მზადდება სტუდენტებისაგან შემდგარი ხორო; ამ საღამოს შემოსავალი გადადგება ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ.

◆ ქალაქის გამგეობამ სავაჭრო სამრეწველო უფროს ზედამხედველს დაუნიშნა 240 მანეთი საგზაო და ეტლის ხარჯად; გამგეობამ დაადგინა ეს ფული ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ჩაიწეროსო.

◆ მეფეძეცეთ ყურადღებას ჩვენს თეატრის მსახიობთა და ყველასას, ვისაც ქართველის თეატრის აკეკარგი ეინტერესება, ცნობილი კრიტიკოსის ბ-ნ ივანოვის წერილზედ, რომელიც დასტამბულია სამ ფელეტონად გაზ. „Новое Время“-ში № № 3622, 3629 და 3634—„Одичаніе музыкально-театральной среды“-ო.

◆ პარასკევს, 3 იანვარს, ტფილისის სახელოსნო სკოლის სადგომში გამართული იყო რუსულ-სომხურ-ქართული წარმოდგენა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ თვით სკოლის შეგირდები; საღამოს დაესწრნენ ოგრეთვე შეგირდების დედ-მამაც და ნათესავებიც; წარმოდგენის შემდეგ ამა სკოლისაგან შეგირდების აღსარული რამდენიმე სიმღერა, [illegible] ის ქართველდაც, დამსწრეთ დიდად მოეწონათ შეგირდებისა და მასწავლელებლის აეხანაკური ურთიერთობა.

◆ როგორც მოსალოდნელი იყო, ქალაქის წყლის მილის ფაგარგისობამ თვით ხმოვნების ყურადღებაც მიეკცია; ხმოსანმა ბაბოგამ მიართვა ქალაქის გამგეობას ქალალდი და ითხოვს წყლის მილის გაფართოების საკითხის განხილვას.

◆ პარასკევს, 3 იანვარს, ნავთლუხში ფეტრშლების სკოლის სადგურში, გამართულ იყო სცენნი მოყვარეთაგან წარმოდგენა, მუსიკალურ განყოფილებით. ხალხი საღამოს ბლოდად დაეწერო და ნასიამოვნებიც დაიშალა. წმინდა შემოსავალი 150 მანეთი აღიმატება, ეფული გარდაიდო ასხაბადში და აჯიკენტენ მიწის-ძეროსაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

◆ ტფილისისა და ბორჩალოს მაზრის სამრეველო სკოლებისა და ეროვნის გუბერნიაშ არსებულ სამრეველო სკოლებისათვის, ექსარხოსის განკარგულებით, პირველ იანვარ ადგილ ადგილ სასკოლო საბჭოს განყოფილებანი, რომელიც განაგებს ზემოხსენებულ სკოლებს, ქალაქის გამგეობამ მიიღო მოწერილობა საეპარქიო საბჭოსგან და სთხოვს დანიშნოს თავისი წარმომადგენელი ამ საბჭოში.

◆ ტფილისის საკრედიტო ბანკის შენობაში 2 იანვარს, გიორგობა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან დამტკიცებული სავაჭრო და საალბე-მიკემო კერძო კანტორა ბ-ნ ნიკიფორ ოროვისა.

◆ დადგა ახალი წელი და ქალაქის ზეგიერთნი დაწყებულნეკანამაც მიმართა გამგეობას ავანსებისათვის. გამგეობამაც დაიაშაყო ოთ სანიტარულ-საყმიო გაანყოფილების ინსპექტორის თხოვნენ და მისცა 200 მან. კანცელარიისა და ბიბლიოთეკის შესანახად; ამა მოაყვა ქალაქის ექიმერ ლაბორატორიი

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

„ᲓᲦᲔᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲐ!“

(მოგონება)

ზამთრის სუსხიანი საღამო იყო. შობის დღესასწაულს შეეგზავნ. ადამიანის მთელი არსება. ვის ახსოვდა ადამიანის მაღალი დანიშნულებანი?! ვინ ფიქრობდა მოყვასის ბედნიერებისთვის? ვის ოგონდებოდა ქალაქის ღარიბ-ღატაკთა მდგომარეობა, მათი ავხანაგ-გოდება, გაეჭირვებინ?! ყველას თავისი ქუეა, ატანილი სურეელები დაეწანწალებდა ალეთ ოქთი, მალაზიიდგან მალაზიაში, ქუჩიდგან ქუჩაში. ყველა ქუჩები გაეკეთილი იყო ხალხით; ყველას სახეზედ ერთი და იგივე ენენა, ოხერა-გოდება, კუეანსდმი მიმართული წყევლა-კრულვა ისახებოდა.

ივანე ბერიაკაეკეკ ამყოლოდა ფეხის ხმას. დალვრეგმილს სახით, თავის ენებურად, ზანტად დასდევდა ეკან თავის კოტიას და ენალინან მეუღლე კატოს, რომელიც გაზაფხეზეს ბაპეალისავით ხან ერთ ეკბალეკულობასა-მიფრინდებოდა და ხან მეორეკულობას. ივანენ ბერეთან ტვირთით ამმიდებოდა. ხეთი [illegible] ბეერთ ბეერზედ მოეკოლილი, ბეერ-[illegible]

გამგეს თხოვნა, რომელიც 300 მან. ითხოვს ავანსად ამა წლის ლაბორატორიის საჭიროებათათვის, გადაჭრილ თანხიდან; ითხოვს ავანსს საქონლის სადგომების გამგე—ბეითალი როსტოვსკიც 300 მან.

✦ რკინის გზის მთავრობამ განიზრახა გააფართოვოს ნავთლუღის რკინის გზის სადგური; ამიტომ კომისიამ უკვე აღნიშნა, რომ მის გასაფართოებლად საჭიროა ქალაქმა დაუთმოს ზოგიერთ სადგურთან ახლო მდებარე ნაჭერი ადგილით; ქალ. გამგეობას ეს ადგილები ამ ჟამად იჯარით აქვს გაცემული, ამ ადგილებზედ, ხელ-შეკრულობის ძალით ბ.ბ. ტიგრანოვს, ნაზაროვს, სანკელიანცს, მანგრაროვს და ნაზაროვს დამრთულები აქვთ ნავთის საწყობნი; ამის გამო სამგუბერნიო ამშენებელთ განყოფილებამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, ამ ადგილების დასათავისუფლებლად გამოგვიგზავნეთ ზემო აღნიშნულს იჯარადრებთან ხელ-შეკრულობის პირიო.

✦ რადგანაც ქალაქის დედათა სააავადმყოფოს გამგე, ბ-ნი ისტამანოვი, შორს სცხოვრობს საავადმყოფოზედ და მისი მუდმივი თვალ-ყურის გდება-კი საჭიროა საავადმყოფოში—რათა ბევრ შემთხვევაში ფიცხელი განკარგულებაა ხოლმე საჭირო, ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: საავადმყოფოს გამგეს ბ-ნ ისტამანოვის სადგური შეერთდეს საავადმყოფოსთან ტელეფონითაო.

ცოტა რამ მანგანეცის მრეწველთა კრების შესახებ.

თუმცა უკვე დადგა დრო ხსენებული კრებისა, მაგრამ არც ერთი ჩვენი გაზეთი, არც „ივერია", არც „ცნობის ფურცელი" და არც „კვალი" არ არიან მზად აუწყონ საზოგადოებას დაწვრილებით საქმის ყოველივე გარემოება. თუმცა-კი, რაც ითქვა სიც საკმაოა მის დასამტკიცებლად, რომ საქ[illegible]რგად ვერ მიდის. რას უნდა მივაწეროთ ეს მოუმზადებლობა გაზეთებისა? საზოგადო გულ-გრილობას, სხვას არაფერს.

კერძოდ მეც, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, არ გახლავარ ზედ-მიწევნით მცოდნე ჭიათურის საქმეებისა. მაგრამ არ შემიძლია ხმა არ ამოვიღო იმის შესახებ, რაც ვიცი, რაც თვალით მინახავს.

ბ-ნი სვ. ქვარიანი სწერდა, რომ მანგანეზის წარმოება არჩენს 5,000 კაცსა. შემცდარი აზრია. 5,000 კაცს-კი არა, მთელ მაზრას არჩენს და მთელის გუბერნიის კეთილ-დღეობას ხელს უწყობს. მანგანეზი, ეს პრიველეგიით აღჭურვილი ლითონი, რომლის საუკეთესო ძარღვი მხოლოდ ზემო-იმერეთშია, ურომლისოდაც საქვეყნო მრეწველობა ახლა შეუძლებელია, ისე არ დამცირდება, რომ 5,000 კაცზედ მეტი ვერ არჩინოს.

საუბედუროდ ჩვენდა, ყოველსავე კარგს ქვეყანადელს ცხოვრებაში თან სდევს ავიცა. ეს ჭეშმარიტება მანგანეზზედაც გამართლდა. მან ვერ გაამართლა ჩვენი იმედები, ვერ შესძინა ჩვენს ხალხს ის სიმდიდრე, ის სიკეთე, რასაც მოველოდით.

ამის მიზეზების გამორკვევა შორს წაგვიყვანდა. მე აქ მხოლოდ ორს ვახსენებ. პირველი მიზეზი მისი, რომ მანგანეზის წარმოებამ, ჩვენ-კი არა, მხოლოდ უცხოელები გაამდიდრა, არის ჩვენი კულტურული დაქვეითება. ჩვენებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ შეერთებულ მოქმედების მნიშვნელობა.

მეორე მიზეზი-კი თვით საქმის მოთავენი არიან.

უნდა მოვახსენოთ-კი, რომ ძნელია ჩვენ მი კრიტიკა რომელისამე საზოგადო მოღვაწის მოქმედების შესახებ. თვითეული მოღვაწე ჩვენში კერპად ჰყავთ გადაქცეული და მის მადმერთებელთ მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნიათ, ვინმე რომ კრიტიკულად მათს ღმერთს შეეხოს. ამგვარია ფანატიკოსობა. ჩვენი საზოგადოებისა, აქამდის მიაღწევს ჩვენი პუბლიცისტური სიბრმავე.

მაგრამ ფანატიკოსების ბრბომ ვერ უნდა შეგვაშინოს, ჩვენც ჩვენის მხრით მის ბრმა ფანატიზმს უნდა წინ დავუყენოთ კრიტიკის თავისუფლება, ურომლისოდაც შეუძლებელია წინ-სვლა.

დიაღ, თავისუფლება კრიტიკისა! აი ეს უნდა ეწეროს ჩვენს დროშაზედ, თუ გვსურს საზოგადო საქმეს რაიმე სამსახური გავუწიოთ. შორს ჩვენგან პირადობა, ნათესაობა, ნათლიმამობა და სხვა ამგვარი წვრილმანი ანგარიში! საზოგადო საქმე, კეთილდღეობა უმრავლესობისა—აი რა უნდა იყოს ჩვენი იდეალი.

მე თვითონ ზემო იმერეთიდან გახლავარ და კარგად ვიცი მისი საჭიროება, ანუ, უკეთ ვთქვათ, მისი გაჭირვება.

იცი, მკითხველო, ვინ არის ზემო-იმერელი? ზემო იმერელი ის არის, ვინც საუკუნეთა განმავლობაში კლდიან ადგილებს ებრძოდა, რამაც, მშვენიერ ჰაერთან ერთად, შეჰქმნა მისი ჯან-მრთელობა, სიმაგრე, მხნეობა, შრომის [illegible]ობა. ზემო-იმერელი ის არის, რომელსაც ვერც ერთი ჯურის ხალხმა ვერ აჯობა შავი-ქვის მუშაობაში და ქვის ზიდვაში მაღაროებიდგან საშინელ ღრიან-კლდეებში. ზემო-იმერეთს შეუძლიან დღეში ოცი საათი იმუშაოს; არა მგონია, რომ იმოდენი მუშაობა სხვას ვისმე შეეძლოს. ზემო-იმერელი, კლდის-შვილი, თვითონაც კლდეა. და აი, სწორედ ამ თვისებას უნდა მიეწეროს, რომ, მიუხედავად სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა, ჩვენი მწარმოებელნი ცილობას უწევენ ამერიკელებს. დიაღ, ასეთია ზემო-იმერელი, ეს იდეალი მუშისა.

რა მისცა შავმა-ქვამ ამ მშვენიერ წარმომადგენელს ქართველებისას? „შავი-ქვა", სხვა არაფერი.

ვიდრე შავი-ქვა გამოჩნდებოდა, ზემო-იმერელი თავის ვენახს უვლიდა, ევლებოდა გარს, თავის ვაზნარსა და ყანაში მუშაობდა ბუნების მშვენიერ წიაღთა-შორის, გულ-გადაღეღილი, მხიარული, მომღერალი, სტკბებოდა მშვენიერ ჰაერით და აკმაყოფილებდა თავის სახლ მადას. ფულსაც მეტს შოულობდა, რადგან ჯერ კიდევ არ იყო ვენახები გაფუჭებული ფილოქსერისაგან.

რა-კი შავი-ქვა აღმოჩნდა, ზემო-იმერელმა ყოველივე მიატოვა და ამ ცოდვილ ქვას ზედ დააკვდა. ვენახების გამობრუნებას ამერიკის ვაზის საშუალებით მხოლოდ ახლა შეუდგნენ —ისიც მხოლოდ აქა-იქ ზესტაფონის არემარეში. სხვაგან-კი ამერიკის ვაზისა ჯერ ხსენებაც არ არის, ისე ჩაითრია შავმა ქვამ ხალხი. რაც ხალხმა ვენახის მოუვლელობით დაჰკარგა, მისი მეოთხედიც ვერ შეიძინა „შავქვაზედ" მუშაობით.

ამას თავი დავანებოთ. შავმა ქვამ შესვა ზემო-იმერლის ჯან-მთელობა, როგორც ღრუბელმა შეისვას წყალი, გამოხრა მისი ჯანი და ღონე, როგორც ჭიამ გამოხრას ხე და დააფუტუროვოს. დიაღ, „შავმა-ქვამ" შესჭამა ზემო-იმერლის სისაღე, როგორც მიწა სჭამს მძოვრს. ეს ბედნიერება მიანიჭა „შავმა-ქვამ" ქართველების სასიქადულო მუშას, ზემო-იმერელს!

შემდეგ ამისა, მიკვირს, „შავი-ქვის" მრეწველთა კრება რატომ არ შეუმდგომლობს, რომ შემცირებულ იქმნას მაღაროებში სამუშაო დრო და აღკრძალულ იქმნას ღამით მადნის ზიდვა?! რატომ არავინ აღძრავს საკითხს ამ საგანზე?!

მეორე აუცილებელი საჭიროებაა მაღაროების განათება ლამპით მაინც, თუ ელექტრონით არა. ძნელი წარმოსადგენია, მკითხველო, როგორი ყარტლი ტრიალობს მაღაროებში, რომელიც სწორედ საშინელებას წარმოადგენს.

მესამე: აუცილებლად უნდა გაკეთდეს სახალხო სახლები ჭიათურაში, ჭიქორში მადნებთან, ერთის სიტყვით, სადაც-კი მუშაობენ. „კრებამ" (СЪѢЗДЪ) რომ ამგვარი სახლები გააკეთოს და იაფად მიაქირაოს მუშებს, დანახარჯ ფულსაც მალე დაიბრუნებს და მუშებსაც დიდს სამსახურს გაუწევს.

და ვიდრე მუშებს ბინა არ ექმნებათ, შესანიშნავი ჭიათურის-აბანო, რომელიც მიაჩნიათ „საბჭოს" მხნეობის ნიშნად, მხოლოდ მავნებელი იქნება. მართლაც, სად უნდა გაათიოს ღამე მუშამ, რომელმაც აბანოში იბანა ტანი? საჯინიბოში?! იცი, მკითხველო, რა არის ჭიათურის საჯინიბო? წარმოიდგინეთ უზარმაზარი ბოსელი, რომელსაც არსად სარკმელი არა აქვს, სადაც სიბნელე მკვიდრობს, რომელიც სავსეა ცხენებით; იატაკის მაგიერ ტალახი, ცხენის შარდი და წყალი, ერთად არეული. ადამიანსაც იქვე აქვს ბინა სადმე კუნჭულში. აბანოდგან რომ კიცი ასეთ სადგომში შევიდეს და გაათიოს ღამე, შენს მტერს, რომ იმას საქმე დაემართოს!

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ განათლების მხრივ არაფერი მზრუნველობა არ გამოუჩენია მრეწველთა კრებას. იგი მხოლოდ „ტარიფების" დაკლებას და სხვა ამ გვარ შეღავათების მოპოვებას სცდილობს. სირცხვილია, რომ „კრებას", რომელსაც 100,000—200,000 მანეთი შემოსავალი აქვს წელიწადში, არც ერთი სასწავლებელი არ დაუარსებია.

დასასრულ, სასურველია კრებამ ისეთი საბჭო აირჩიოს, რომელიც კრების გარდაწყვეტილებას საცინლად არ აიგდებს, არამედ უთაკლულოდ აასრულებს.

ვასილ წერეთელი.

ჩვენებური ამბები

ხონი: პარასკევს, 3 იანვარს, როგორც იქმნა, ვეღირსეთ ჩვენი ბიბლიოთეკის წლიურ კრებას და გავიგეთ მისი მდგომარეობა. თუმც კრებას წევრთა ნახევარზე ნაკლები დაესწრო, მაგრამ მაინც კრება კანონიერათ ჩასთვალეს. როგორც ამ კრებაზე გამოირკვა, უმეტესს ნაწილს შემომწირველებისას არ სცოდნია, ვის სახელზე იყო და არის ეს ბიბლიოთეკა გახსნილი? მათ თავიანთი თავი კანონიერ წევრებათ ჰგონებიათ და ძლიერ იწყინეს, როდესაც ბ-ნმა გამგემ წარმოსთქვა: „მე წავიკითხავ ანგარიშებს და თქვენ გინდ დაამტკიცოთ, გინდ არა, მე მაინც 10 იანვრამდე უნდა გავგზავნო წერა-კითხვის საზოგადოებაშიო". ამან გამოიწვია დიდი სჯა და ბოლოს გამოირკვა, რომ ბიბლიოთეკა გახსნილია და ეკუთვნის ზემოხსენებულს საზოგადოებას. გამოირკვა, რომ ვინც 6 მ. ნაკლებს იხდიან წელიწადში, ისინი არიან უბრალო შემომწირველნი და არა-წევრები, როგორც ეგონათ ამდენს ხანს. ამის შემდეგ, წაკითხულ იქმნა ანგარიში: თავის არსებობის განმავლობაში სამკითხველოს შემოსვლია 837 მან. გ. ხარჯი 42 ამ ხნის განმავლობაში უთვიდა 682 მ. 99 კ. ასე, რომ ბიბლიოთეკას 1 იანვარს ფულად ჰქონია 155 მ. 50 კ., შეუძენია წიგნები ქართული 180 ცალი, რუსული 122 ცალი. შემოუწირავთ სხვა-და-სხვა პირებს 239 ცალი რუსულ-ქართული წიგნი. დღიური მკითხველები ყოფილა 6874 ქალი და კაცი. თვიურ ხელის მომწერთა რიცხვი 160 კაცი და ქალი.

გაუტანიათ წიგნები: ქართული 846 ცალი. რუსული 353 ცალი, ჟურნალ-გაზეთები 455 ცალი. რომ ასე ცოტა წიგნები არ ჰქონოდა, მკითხველთა რიცხვი ერთი-ორად იმატებდა. რაც აქვს ქართული წიგნები, ისიც ვერ არის რჩეული და ამასთანავე სხვა და სხვა შინაარსიანი. არ ვიცი, რამ აიძულა კომიტეტის წევრები, რომლებიც ჰყიდულობდნენ იმ გვარს წიგნებს, როგორიც არის, მაგალ, „დუკმა-პურის ამბავი", „ბენიამინ ფრანკლინი", „დოდიკა მოკლე ფარმალური", და მრავალი სხვა. იმედია, ახალი წევრების კომიტეტი ყველა ამას იგულისხმებენ და უფრო ერთგულად მოეკიდებიან წიგნების არჩევას. შემდეგ ანგარიშებისა, არჩეულ იქმნა ახალი წევრების კომიტეტი, ძველები-კი ერთის გარდა გადაყენებულ იქმნა.

alliense

უცხოეთი

სერბია. მეფე ალექსანდრეს კიდევ გარდაუწყვეტია კონსტიტუციის შეცვლა. დიდი ხანი არ არის, რაც ალექსანდრე გამეფდა, ხოლო კონსტიტუციის შეცვლა მესამე-ხელ ხდება. არ იქმნა და არა, არც ერთი კონსტიტუცია არ მოეწონა მეფე ალექსანდრეს და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. კონსტიტუცია—ეს ხალხის აზრია, ხალხის ლტოლვილება და მიმართულებაა; და მეფე რადაა მეფედ, თუ ისიც ხალხის ინტერესების გამომხატველი იქნება.—ამიტომაც არის, რომ ხალხის შედგენილი კონსტიტუცია მას არ მოსწონს და არა. ხალხის მიერ შედგენილი კონსტიტუცია ყოველთვის ზღუდავს და ავიწროებს მეფის და სხვა მოხელეთა უფლებებს. და ვინ იქნება ისეთი შორს-მჭვრეტი პოლიტიკოსი, რომ თავის უფლებათა შეზღუდვა თავის ნებით მოისურვოს, ვიდრე ხალხი ძალად არ შეასრულებინებს!

და აი, სერბიის მეფეც არ სჯერდება სერბიის ხალხის კონსტიტუციას. მან ორჯელ მიანდო თითონვე ხალხის წარმომადგენელთ კონსტიტუციის შედგენა, მაგრამ მის სასარგებლოდ საქმე არ დასრულებულა. ახლა-კი მეფე ალექსანდრე სულ სავა ტაქტიკას დაადგა. იგი აღარ ენდო ხალხის წარმომადგენელთ და კონსტიტუციის შედგენა ერთს კაცს, ანდრე გეორგევიჩს, მიანდო, რომელიც მეფის კარგი მეგობარია, მაგრამ ხალხის-კი რა მოგახსენოთ. ანდრე გეორგიევიჩი მილანის სამინისტროში ნამყოფია; ის ხალხს არა თუ არ უყვარს, პირიქით, ძალიანაც ეჯავრება და სძულს.

ანდრე გეორგიევიჩმა სამი თვის განმავლობაში უნდა წარუდგინოს მთავრობას ახალი პროექტი კონსტიტუციისა, რომელიც უნდა განიხილოს ხალხის წარმომადგენლებმა და მთავრობამ. თუ ორივე მოიწონებს, მაშინ კონსტიტუცია ძალაში შედის. მეფის მეგობრის და ხალხის მტრის (მტერი თუ არ იყოს, რისთვის ეძულებათ?) გეორგიევიჩის შედგენილს პროექტს, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა მოიწონებს მეფე, მთავრობა და თვითონ გეორგიევიჩი, მაგრამ ხალხის წარმომადგენლები-კი არა და ათასჯერ არა. როგორც ამბობენ ახალს კონსტიტუციაში გამოტოვებული იქმნება ყველა ის მუხლები, რომლებიც სენატს შეეხებაო. ეს ნიშნავს სენატის სრულს გაუქმებას, ე. ი. კონსტიტუციის უარისყოფას. ეს მთავრობისათვის ხელ საყრელია, ხოლო ხალხისათვის-კი არა. მერე, დაამტკიცებენ ხალხის წარმომადგენელნი ამ გვარ პროექტს? ეს ხომ თავის თავის, თავის ხალხის ინტერესების გადალახვა იქმნებოდა; ეს ხომ თავის ხელით თავის დასაკლავი დანის გამონახვა იქმნებოდა. მერე ვინ იქმნება ისეთი, რომ თავისი ხელით გამოიჭრას ყელი და თავის თავი უარ-ჰყოს! ვნახოთ, ვინ იქნება ასეთი—ხალხი თუ მეფე, მთავრობა, თუ სერბიის პარლამენტი?

—

პარიჟის უნივერსიტეტი (საკუთარი კორესპონდენტისაგან).

წინა წერილში მე მოვიხსენიე ერთი უნიჭიერესი საისტორიო გეოგრაფიის პროფესორი Ecole pratigue-ის Berard-ი.

თუმცა სიტყვა—ისტორიული გეოგრაფია—ძნელი გასაგები არაა, მაგრამ მე მაინც ვეცდები ამ სიტყვის განმარტებას.

როცა რომელიმე ხალხის ისტორიის შესწავლას შეუდგებიან, საჭიროა იმ ქვეყნის ცოდნა გეოგრაფიულად, სადაც ეს ხალხი სცხოვრებდა, ვისთან ჰქონდა მას კავშირი და დამოკიდებულება. რასაკვირველია, ყველაფერი ეს მრავალ სხვა ქვეყანათა ზედ გავლენით იცვლებოდა და სხვაფერდებოდა: იქ, სადაც ოდესღაც დიდებული ქალაქები ჰყვაოდა და ვითარდებოდა, დღეს მათ ადგილზე მხოლოდ ნანგრევები-ღა თუ მოსჩანან; სადაც მშვენიერი თემის მსგავსი ბაღი იფურჩქნებოდა, იქ მხოლოდ გატიტვლებული უდაბნოა დარჩენილი... ამისთვის ისტორიული გეოგრაფიის აზრი და დანიშნულება ისაა, რომ გამოარკვიოს და გამოიცნოს, ეს თუ ის კუთხე ამა თუ იმ ეპოქაში რა მდგომარეობასა და რა ცვლილებაში იმყოფებოდა.

პარიჟის უნივერსიტეტში ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად რამდენიმე კათედრაა. ამ გვარი კათედრა Ecole pratigue-შიაც არის, რომლის პროფესორად, როგორც ზევით მოვიხსენიე, Berard-ია; ის ორ კონფერენსიას ხელმძღვანელობს: ერთი შეეხება კუნძულ კრიტს და მეორე კი ჰომეროსის ოდისეის გეოგრაფიის აღწერას. ოდისეის გზის (путь) შესწავლა, იმ ქვეყნის მდგომარეობა, რომელიც მან ინახულა, ჰომეროსიის მიერ გეოგრაფიის ცოდნა,—აი, რა გზას ადგია პროფ. Berard-ი. ამ საგნის შესწავლას ბევრი სხვა პროფესორიც შეუდგა, მაგრამ მდიდარი შედეგი არავის შრომას არ მოჰყოლია, გარდა Berard-ის შრომისა.

როგორ ჰხსნის ამ საკითხს ბერარდი? ამის შესახებ მინდა მოველაპარაკო მკითხველს. მე არ შევუდგები ბერარდის შესამჩნევი თხზულების—„ფინიკიელები და ოდისეი"-ის შინაარსის მოყოლას; მე შევეხები მხოლოდ იმ მეთოდს და იმ ხერხს, რომელსაც ბერარდი ადგას თავის მეცნიერულს გამოკვლევებში. ლაპარაკია კუნძულ ოგინის შესახებ, სადაც კოლიპსო იმყოფება. მაგრამ უმჯობესია ცოტა უკან დავიხიოთ სანამ კუნძულ კოლიფსოს აღწერას შევუდგებოდეთ.

ვინც-კი ბორჯომში ყოფილა, მას უსათუოდ ეცოდინება შავი წყალი. საიდგან წარმოსდგა სახელ-წოდება—შავი წყალი? სიტყვა გალიპსო ბერძნულად ჰნიშნავს: „მე ვიმალები". კოლიპსო, ჰომეროსის სიტყვით, ცბიერი ატლანტის ქალიშვილია, რომელსაც ცის გუმბათი მხარზედ უძევს და იმყოფება ჰიბრალტარის ახლო ისპანიაში. ისპანია ძველ სემიტურს ენაზე „დამალვას" ჰნიშნავს. ამის მიხედვით ჩვენ ვხედავთ, რომ კალიპსო ქალია ატლანტისა, რომელიც ახლანდელს ისპანიაში სცხოვრობდა. ისპანია და კალიპსო ერთი და იგივე მნიშვნელობისაა—„დამალვისა".

ამ გვარად შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბერძნებმა, ან ბერძენთ მეზღვაურებმა ძველ სემიტიურის ენიდან სიტყვა „ისპანია"—გადასთარგმნეს სიტყვა „ოლიპსით". დღეს ყველა მეზღვაურს ხალხს აქვს დაცული ზღვის პირად მდებარე ქვეყნების, კუნძულების, სრუტეების და სხ. აწერილობა.

პროფ. ბერარდიც შეუდგა ამ გვარ სახელწოდების აღწერას და აღმოაჩინა ერთს ფრანგულს ნაწერში „He Cachée"-ში დამალული კუნძული, რომელიც ისპანიასა და მაროკკოს შუა სძევს, ტანჟერის მახლობლად. ბერარდიმ შეადარა ყველა ეს სახელწოდებანი და აღმოჩენანი ერთმანეთს და მიაგნო იმ დედა ძაფს, რომლითაც დაამტკიცა, რომ კალიპსო, ისპანია და კამე ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვებიაო. მაგრამ ეს არ იკმარა სახელოვანმა პროფესორმა; რომ ყველა დაერწმუნებინა თავის გამოკვლევის სინამდვილეში, მან აიღო და შეადარა თავისი აზრი ჰომეროსის მიერ აწერილს კუნძულს კოლიპსოს, თავი მოუყარა ერთად ყველა იმ სიტყვებს, რომლებიც გადასაწყვეტს საგანს შეეხებოდა და ჰომეროსის ტექსტები შეადარა Jnscriftions Maritimes-ს. მან აქაც სრული ერთგვარობა აღმოაჩინა. ამის შემდეგ ან თითონ ბერარდი მიემგზავრება ჰომეროსის მიერ აწერილ ადგილს, ან ჰგზავნის რომელიმე თავის მოწაფეთაგანს სინამდვილის დასამტკიცებლად.

შედარებითი შესწავლა საკუთარის სახელებისა, ტექსტის ახსნა და ბოლოს საქმის ადგილობრივად გამოკვლევა,—აი მეთოდი, რითაც ხელმძღვანელობს პროფ. ბერარდი თავის გამოკვლევებში. ამგვარი მეთოდით სხვივ ეფინება მითოლოგიურს მხარეს ოდისეიას. თვითეული სიტყვა ტექსტისა ადვილი გასაგებია, თვითეული აზრი თავის თავად ადვილად ასახსნელი ხდება.

აქ მოვიყვან ერთს მაგალითს: რისთვის ეძახიან ატლანტის მოღრუბლულს (туманнымъ)? საქმე აი რაშია: როცა ფინიკიელთა და ბერძენთა მეზღვაურნი ილქნიან გემში იჯდნენ და ისპანიისა და მაროკოს მიემგზავრებოდნენ, ამ დროს დაჰბერა აღმოსავლეთის სამოგზაურო ქარმა და გადაჰფინა ხმელეთა შუა ზღვაზედ ღრუბლები დასავლეთისაკენ, მაგრამ ღრუბლებს ისპანიისა და მაროკოს მთები ეღობებოდა წინ. შემდეგ დაჰბერა დასავლეთის ქარმა და მოგზაურები დაბრუნდნენ ისევ თავიანთ ქვეყნებში. ამ გვარად მათ წარმოუდგათ ისპანია და მაროკკო მუდამ ღრუბლიანი, ამიტომ, მათის აზრით, ატლანტიც მუდამ მოღრუბლულია.

გ. ხუდადოვი.

სამეცნიერო წერილები

ებერტის ბაცილა

სახადის (ტიფის) ბაცილა აღმოაჩინა მეცნიერებერტმა: ამ ბაცილის შხამითაა რომ იწამლება ადამიანის სხეული სახადის დროს. თხელი ნაწლევები ერთად-ერთი ადგილია ჩვენ სხეულში, სადაც ეს ბაცილები იწყებენ ხოლმე გამრავლებას და აქედან-კი იწამლება სხეული ამ ბაცილების მიერ გამონადებ საწამლავით.

აქამდინ ვეძებდით ამ აზრის იყვნენ, რომ სახადის ბაცილების აღმოჩენა შეიძლება მხოლოდ ამ გვარ ავადმყოფის განავალში ან შარდში, ეხლა-კი Widal-ის სამეცნიერო მოხსენებიდგან სჩანს, რომ სახადის ბაცილები თვით ავადმყოფის სისხლშიაც იმყოფება; საჭიროა სახადიან ავადმყოფის ორი-ოთხი კუბ. სანტ. სისხლი დათესონ ბულიონის 300 კუბ. სანტიმეტრზედ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მასზედ სახადის ბაცილები მოშენდეს.

ამ გვარად, იმ ჩვიდმეტ სახადიან ავადმყოფთა შორის 17-ის სისხლში ებერტის ბაცილა აღმოჩნდა.

ამ ახალ გამოკვლევას, სხვათა შორის, ის მნიშვნელობა აქვს, რომ ეხლა საჭირო შემთხვევაში შეგვიძლიან შემოწმოთ ამ ახალ საშუალებას და ამით გავიგოთ, მართლა სახადით არის შეპყრობილი ავადმყოფი თუ სხვა რომელიმე სენით.

ექიმი ბადრიძე.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. პარასკევს, სამს იანვარს, აქაურ თეატრში გამართული იყო ხალხური იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოადგინეს „საპნის ბუდე[illegible]" და „ადამ და ევა". ხალხი, ჩვეულებისამებრ, ბლომად დაესწრო. ბილეთები მალე დაიტყვეს; ერთის საათის წინეთ, წარმოდგენის დაწყებამდე, კასის წინ იდგნენ პატარა ბიჭ-ბუჭები, რომელთაც ეყიდნათ—ზოგს 20 და ზოგს 30 ბილეთი, სარგებლობდნენ იმითი, რომ კასაში ბილეთები აღარ იქნება და ერთი-ორად გაჰყიდდნენ. სასურველია, თეატრის დირექცია ამ უწესობას ყურადღებას მიაქცევდეს. ჩვენდა სამწუხაროდ, წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა.

[illegible]ერი.

წერილები რედაქციის მიმართ.

I

ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემული გაზეთ „ივერიის" საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ „ივერიის", „ცნობის ფურცლის"—„მოამბის", „მოგზაურის" და „მწყემსის" რედაქციებს, რომელთაც კეთილ ინებეს და წარსულ 1902 წლის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ გვიგზავნეს თავიანთი ჟურნალ-გაზეთები.

იმედია, წელსაც მოგვაწვდიან ზემოხსენებული რედაქციები თავიანთ გამოცემებს და მით მოგვცემენ საშუალებას თვალ-ყური ვადევნოთ სამშობლო ქვეყნის მდგომარეობას, მის ავ-კარგს.

ყაზანელი ქართველი სტუდენტები.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

4 იანვარი.

პეტერბურგი. 3 იანვარს, საზამთრო სასახლეში, გერმანიის ტახტის მემკვიდრის პრინცის [illegible]ცემლად გამართულ სადილზედ ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ბედნიერი ვარ, რომ თქვენს უმაღლესობას ვხედავ ჩვენ შორის და გიცხადებთ მადლობას მობრძანებისათვის; ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უავგუსტოესის მშობლისა—გერმანიის მეფე-იმპერატორის და თქვენის უმაღლესობისა". ამაზედ გერმანიის ტახტის მემკვიდრემ უპასუხა: „მეტად მადლობელი ვარ ამ სიტყვით, რომლითაც მომმართეთ თქვენმა უდიდებულესობამ; გთხოვთ მომცეთ ნება გამოვუცხადოთ ჩემი გულითადი მადლობა მამაჩემის—გერმანიის იმპერატორისა—და ჩემის მხრით გულითადი

ველრისათვის, რომელსაც არასოდეს არ დავივიწყებთ. ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისას, დედოფლების მარიამ თეოდორეს ასულისასა და ალექსანდრა თეოდორეს ასულისას და მთელის თქვენის ოჯახისას“.

მადრიდი. ესპანიის ელჩი კოლოგანი დეპეშით იტყობინება, რომ ფესში საქმეთა მდგომარეობა უკეთესდება.

ტანჟერი. პრეტენდენტის წინააღმდეგ ექსპედიცია 29 დეკემბერს გავიდა ფესიდგან. ტეტუანიდგან ამბავი მოვიდა, რომ სულთანის ჯარი თურმე დამარცხებულა; ამ ამბავს ოფიციალურად არ ამტკიცებენ, იუმცა ამბობენ, შესაძლებელია მართალი იყოსო.

სტამბოლი. მთელი პრესსა სიხარულით ეგებება ფერიდ ფაშის დიდ ვეზირად დანიშვნას და მისი დიდი იმედი აქვს; სიხარულით და იმედით ეგებებიან ამ დანიშვნას ოსმალეთის ქრისტიანებიც.

კიევი. ხანგრძლივის მეცადინეობის შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა ქურდების ბრბო, რომელიც საქონლის მატარებლებს ძარცვავდა კიევის ახლო.

5 იანვარი

პეტერბურგი. გერმანიის კრონპრინცმა დაათვალიერა ზამთრის სასახლე, ერმიტაჟი და ისტორიული ტანთსაცმელის გამოფენა.

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია დაწვრილებითი პასუხი რუსეთის მმართველობისა ინგლისის ნოტაზედ შესახებ შაქრის საკითხისა. დასასრულს სწერია, რომ რადგან ინგლისის მმართველობამ თავის უკანასკნელ ნოტაში გამოაცხადა, რომ რუსეთის შაქრის საწინააღმდეგო კანონს მხოლოდ მაშინ მიჰმართავენ, თუ საერთაშორისო კომისია აღიარებს, რომ რუსეთის სისტემას ექმნება იგივე მნიშვნელობა, რაც პრემიების მიცემას, იმ შემთხვევაში ეს კითხვა გადაუწყვეტელად დარჩება. ამის შესახებ შემდეგი სჯა შეწყვეტილი უნდა იქმნას კომისიის დადგენილებამდე.

ტანჟერი. ბუნტისთავები დაემორჩილნენ ტანჟერის ფაშას, მაგრამ ფასსელი კაბილები აჯანყდნენ.

დრეზდენი. მეფე ავად არის.

ჟენევა. საქსონიის კრონ-პრინცესსა და ჟირონი ჟენევიდან ერთად წავიდნენ, მაგრამ არავინ იცის საითკენ.

ვენა. ჩეხელ რადიკალების ობსტრუქციის გამო რეიხსრატის პირველი კრება 54 საათი გაგრძელდა.

სტამბოლი. საიდ-ფაშის სამსახურიდან გასვლის მიზეზი იყო ჯარისა და მოხელეების შემცირების სურვილი.

ფერიდ-ფაშამ ებრძანა, დააჩქაროს რეფორმების შემოღება.

პარიჟი. გაზ. „ეკონომისტ-ფრანსე“ აღიარებს რუსეთის ფინანსის სიმკვიდრეს და ყურადღებას აპყრობს უქვეშევრდომილესის მოხსენების დასკვნას.

ბერლინი. ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილია რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვის უმთავრესი ადგილები. ბირჟაზე გაკვირვებით აღნიშნეს ის ფაქტი, რომ სათადარიგოდ შენახული ოქრო ას მილიონზედ მეტია.

„ბერლინერ ბერსენ-ცეიტუნგში“ და „ნაციონალ ცეიტუნგში“ აღნიშნულია, რომ მოხსენებაში გულახდილათ აღნიშნულია შეფერხება მრეწველობისა, და ამასთანავე რწმენა მინისტრისა, რომ რუსეთს შეუძლიან თავი დაიხსნას ამ დროებითი გაჭირვებისაგან სამეტალურგო მრეწველობის კარგად მოწყობით. სხვა გაზეთები აღნიშნავენ ჩვენის საგარეო ვაჭრობის კარგს მდგომარეობას. გაზეთთების უმეტესობას მოჰყავს მოხსენებიდან ადგილი, რომელიც შეეხება პურის კარგს მოსავალს. სამაგალითოა, რომ ათის წლის განმავლობაში ბიუჯეტში დეფიციტი არ ყოფილა.

სოფია. საჯარო კონკურსზე, რომელსაც დასწრო მთავარი, პირველი ჯილდო ერგო გეორგიევს, რომელმაც მუსიკა დაუწერა მეფე განმათავისუფლებლის ძეგლის გახსნის შესახებ შეთხზულ სადიდებელ ლექსს.

6 იანვარი.

სტამბოლი. ქარბუქი გრიალებს. ზღვასა და ხმელეთზე ბევრი უბედურება ხდება. მიმოსვლა ყოველ მხრივ მოისპო.

ვენტონა. საქსონიის კრონპრინცესა და ჟირონი მოვიდნენ.

გიბრალტარი. ჩრდილოეთ-გერმანიის საზოგადოების გემი „დონ“ ტუნარის ახლოს გაირიყა. მასზე 1,500 მგზავრია. საშველად მოვიდა მხსნელი გემი, გარნა გემი „დონ“ ვერას გზით ვერ დასძრა ადგილიდგან. მას აპმლიან.

ჰელსინგფორსი. ეკკლესიური პარადი იყო. წყალკურთხევა ზღვაზედ იყო. „იორდანეს“ საყურებლად დიდი ხალხი მოვიდა.

პარიჟი. „პტი პარიზენ“-ი ამბობს, რომ ვიტტეს საფინანსო მოხსენებამ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება. მანისტრს შეუძლიან იმედი იქონიოს ამ წელიწადს მოსავლის კარგის

პირისა ეკონომიურს მდგომარეობაზე. საიმპერატორო რესკრიპტი გამოსთქვამს მთელის ევროპის გრძნობის შესახებ ფინანსების ხელმძღვანელობისა.

ოდესა. „ოდეს. გრად. ვედ.“-ში დაბეჭდილია: „2-ს იანვარს ოდესის საპყრობილეში, მამრთა განყოფილებაში, დაიწყო უწესოება და ხვეწნამ ზედგავლენა არ იქონია. საპყრობილეს დარაჯებმა სროლა იწყეს დამბაჩით. ერთი პყრობილი მოკლეს და ერთი დასჭრეს. ორი რაზმი სალდათებისა მოიწვიეს. წესიერება აღადგინეს. 3-ს იანვარს მოხდა უწესოება საპყრობილეს ქალთა განყოფილებაში. გამოწვეულმა სამხედრო მცველებმა ორჯზის გაისროლეს. ერთი პყრობილი ქალი მოკლეს. წესიერება აღდგენილია.

კარაკასი. გერმანიის სამხედრო გემი „პანტერ“ სცდილობდა შესულიყო მარაკაიბის სრუტეში, გარნა ყარაულთა სროლამ იძულებულ ჰყო უკან დაეხია გემს. ციხეს ზარალი არ მოსვლია. ცნობა რომ მიიღო აქაურმა ერმა, დემონსტრაცია მოახდინა.

პეტერბურგი. 5-ს იანვარს გერმანიის საელჩოში იყო სადილი კრონ პრინცის პატივსაცემად. დაესწრო ბავარიის ელჩი, მინისტრები: ფინანსთა, სამხედრო და საშინაო საქმეთა და ზოგიერთნი პირნი ხელმწიფე იმპერატორის ამალისა.

6-ს იანვარს იყო სანათლიღებო პარადი უდიდებულესობის დასწრებით და კრონპრინცის დასწრებით. წყლის კურთხევა შეასრულა მიტროპოლიტმა ანტონიმ, კარის ეკკლესიის სამღვდელოების დასწრებით.

6-ს იანვარს კრონპრინცმა მიართვა ხელმწიფე იმპერატორს საჩუქარი გერმანიის იმპერატორისა—უკანასკნელ ჯავშნიან გემის სახე.

7 იანვარი

პარიჟი. „Times“-ს კორესპონდენტი ბლოვიცი მოკვდა.

პეკინი. დიდებულად გახსნეს ძეგლი, რომელიც ჩინეთის მთავრობამ აუგო ბარონს კეტტელერს.

სტამბოლი. დიდი თოვლისა გამო მიმოსვლა ეტლებით და ცხენებით, როგორც მახლობელ ადგილებში, აგრეთვე ქალაქში შესწყდა. უკანასკნელი ფოსა მიღებულ იქმნა 4 იანვარს და მას შემდეგ ფოსტა აღარ მიღებულა.

ჩარჯუი. ამურდარიელი გემი „ნიკოლოოზ II“ დაილეწა ქვებზედ კელიფთან. გემის უფროსი და 112 მგზავრი უვნებლად გადარჩნენ.

სტამბოლი. წირვის დროს, სპკათედრო საკრებულოს ტაძარში, მეაფთიაქეს მოწაფემ, ტომით სომეხმა, რამდენჯერმე ესროლა რევოლვერი სომეხთა პატრიარქს ორმანიანს და დასჭრა მარჯვენა მხარში. ჭრილობა სუბუქია. ბოროტ-განმზრახველი, როგორც სჩანს, ეკუთვნის სომეხთა კომიტეტს. იგი შეიპყრეს.

პეტერბურგის ბირჟა, 3 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,67½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅝ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¾ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	468¾ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	376 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	313 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	89¾ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	83¼ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	— 89¾ წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9700 გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4300 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	48 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	202 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Posta Eugéuic

საცხებელი (პომადა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირი-სახის კანს, აგრეთვე სიალსეა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie

თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი—Eugenie

(წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mèlange

წყალივით სახმარია თმის საზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი

(პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი

თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათ სწრაფს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფეხვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—1)

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ვაჭრობის მაღაზიას გასასყიდად ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფასი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს. (5—6.—5)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, მცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	მ. 1 „
გულურობა და განათლება, თარგ. ს. ჭუდლისა	„ 30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„ 50
ბრძნული სიტყვები	„ 10
წმიდა აბო ტფილელი	„ 30

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

(XX-й годъ изданія)

условія подписки

съ доставкой и пересылкой:

а 12 мѣсяцевъ	7 р. — к.	на 6 мѣсяцевъ	4 р. — к.
„ 11 „	6 р. 50 „	„ 5 „	3 „ 50 „
„ 10 „	6 „ — „	„ 4 „	3 „ — „
„ 9 „	5 „ 50 „	„ 3 „	2 „ 50 „
„ 8 „	5 „ — „	„ 2 „	2 „ — „
„ 7 „	4 „ 50 „	„ 1 „	1 „ — „

За границу: па годъ 14 руб., на полгода 8 руб., ня 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородрыхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подпискб принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца—въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Плата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ—15 коп. (со строки петита), на 4 стр.—8 к. Объявленія, печатаемыя болѣе одного раза, на 1-й стр.—10 к. (со строки петита), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скидка.

Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій Петербурга, Москвы, Риги, Царства Польсваго и заграничн. принимаются исключительно въ конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и Кº къ Пстербургѣ и Москвѣ—по 10 коп. за строку петита—на 4 стр. и по 20 к.—на 1-й стр. (8—5)

Открыта подписка на 1903 годъ

на общественно-литертурную и политическую газету

„БАКУ“

съ обширнымъ нефтянымъ отдѣломъ.

Съ пересылкой: на годъ **8 р. 50 к.**, **11 м. 7 р. 50 к.**, **10 м. 7 р.**, **9 м. 6 р. 50 к.**, **8 м. 6 р.** **7 м. 5 р. 50 к.**, **5 м. 4 р. 50 к.**, **4 м. 4 р.**, **3 м. 3 р.**, **2 м. 2 р. 50 к.**, **1 м. 1 р. 50 к.**

За границу: на годъ **15 р.**, на полгода **8 р.**

Подписываться можно на всѣ сроки, но не иначе какъ съ перваго числа каждаго мѣсяца.

За перемѣну адреса просятъ высылать **5** семикопеечныхъ марокъ.

Допускается разсрочка подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе **4 р. 50 к.**, а затѣмъ **15** февраля и **15** марта по **2** рубля.

Допускаетcя разсрочка и на болѣе льготныхъ условіяхъ, но по соглашенію съ конторой редакціи.

Годовые подписчики на **1903** годъ въ **1902** г. получаютъ газету безплатно со дня подписки.

Подписка принимается въ г. Баку, въ конторѣ редакціи (Парапетъ, домъ Степановой).

Редакторъ-издатель **А. Н. Лавровъ.**

Открыта подписка на 1903 годъ, X годъ изданія,

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО“,

органъ Императорскаго Кавказскаго общества сельскаго хозяйства. Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры,

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельско-хоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско-хозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

Задача газеты заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ «Вопросы и отвѣты» газета, при содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или общество сельскаго хозяйства.

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на годъ—4 руб., полгода—2 р., ¼ года—1 руб. и 1 мѣсяцъ—40 к.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ бюро Импер. Кавк. общ. сел. хоз., Барятинская ул., собственный домъ.

(3—3) Отвѣтственный редакторъ А. А. Калантаръ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасам дзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი.